28/01/2026

MES 2 26 0000077113

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 21 იანვარს 12:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: January 21, 2026 12:00 PM Tbilisi
https://us02web.zoom.us/j/83222901659?pwd=1URfN8dPgnrHjBn99rbSoqVAgK58Ds.1
Meeting ID: 832 2290 1659
Passcode: 724307

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**გიორგი გამყრელიძე -** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე);
**სალომე სანაია -** სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);
**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
**ნათია გვირჯიშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი);

**ქეთევან გოგელაშვილი** - საქართველოს კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
**ნინო ასათიანი** - შპს „ჯიაიჯი ჰოლდინგი“-ს ადამიანური კაპიტალის მართვისა და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
**ნანა დვალი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
**ნინო ელბაქიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:**
**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
**მარიამ ჩოხელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულების წარმომადგენლები**

**სსიპ კოლეჯი „სპექტრი“**
როინ (მათე) ტაკიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ ხატიაშვილი - დირექტორის მოადგილე
თეიმურაზ მაჩაიძე - დირექტორის მოადგილე

**შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი**
ელენე გვეტაძე - დირექტორი
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ანა ჯავახიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით

**შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი**
დავით მაზმიშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
ქრისტინე ხურციძე - ხარისხის მართვის ასისტენტ-მენეჯერი

**შპს გორგია**
მარიამ გელაშვილი - პროექტების მენეჯერი
გვანცა გოგიაშვილი - პროექტების ადმინისტრატორი

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:**

ირმა ღარიბაშვილი
შოთა კოჩაძე
ინგა ბაქრაძე

ქეთევან გელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე ,შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“ /02435/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „სუსტი დენების ტექნიკოსი“ /02423/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ /02350/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ /02395/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „მიკროკლიმატისა და ფიზიკური ფაქტორების გაზომვა“ /02418/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს გორგიას „დეკორატიული მცენარეების მოვლა და გამრავლება“ /02411/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

**1. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“ /02435/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 ნოემბრის №1686636 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 24 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯ სპექტრში (მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10).
ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ერთი რეკომენდაცია, კერძოდ,
**ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.**
პროფესიული მომზადების პროგრამის „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“ აღწერით ნაწილში დაშვებულია ტექნიკური უზუსტობა. სასურველია, წინადადებაში „პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებით”, სიტყვა “გადამზადების” ჩანაცვლდეს სიტყვით - “მომზადების”.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის მიმართ არსებობს დიდი ინტერესი, სამშენებლო კონპანიები დაინტერესებული არიან კვალიფიციური კადრის მომზადებით და უკავშირდებიან კოლეჯს ასეთი კადრის მოძიების მიზნით. პროგრამის

განხორციელება შესაძლებლობას მისცემთ დაინტერესებულ პირებს, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს, განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები სამეწარმეო მიმართულებით და თვითდასაქმების გზით დაიმკვიდრონ თავი. საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეისწავლა ეროვნული შრომის ბაზრის კვლევები. მათი განმარტებით, კვლევების შედეგები გადამწყვეტია პროფესიული მომზადების პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. ეროვნული კვლევები ხშირად აჩვენებს, რომელი ეკონომიკური სექტორები განიცდიან ზრდას და შესაბამისად, საჭიროებენ მეტ კვალიფიციურ სამუშაო ძალას. მშენებლობის მიმართულება, ეროვნული შრომის ბაზრის 2024 წლის კვლევის მიხედვით, იდენტიფიცირებულია, როგორც მზარდი სექტორი. ეს პირდაპირ მიუთითებს სამშენებლო მიმართულებით მოთხოვნის ზრდაზე. სამშენებლო მიმართულებით ვაკანსიების საკმაოდ დიდი რაოდენობა ფიქსირდება და ისინი ხშირად ღია რჩება კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო, ეს კი პროგრამის საჭიროების პირდაპირი მტკიცებულებაა. ფიქსირდება სამშენებლო სექტორის 8%-იანი ზრდა 2024 წელთან შედარებით და ბოლო ერთი წლის განმავლობაში მშენებლობის სფეროს ვაკანსიების 7 პროცენტით ზრდა. დამსაქმებლებს უჭირთ კვალიფიციური კადრების მოძიება, რომლებსაც კონკრეტული უნარები გააჩნიათ. ისინი ხშირად ხაზს უსვამენ პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობას. უკუკავშირი შეიძლება მიუთითებდეს, რომ კურსდამთავრებულებს სჭირდებათ მეტი საათი რეალურ სამუშაო გარემოსთან მიახლოებულ პირობებში, რათა გაიუმჯობესონ სხვადასხვა პირობებში მუშაობის უნარები. დამსაქმებლებისთვის უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია. მათი უკუკავშირი შეიძლება მოიცავდეს კონკრეტულ მოთხოვნებს უსაფრთხოების პროტოკოლების ცოდნასთან, რისკების შეფასებასთან და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების უნარებთან დაკავშირებით. დამსაქმებლებისგან მიღებული ინფორმაცია ახალი ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის შესახებ პროგრამას საშუალებას აძლევს, მოერგოს ცვლილებებს და მოამზადოს კადრები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია პრაქტიკულ მოქმედებებზე და კომპეტენციის განვითარებაზე. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 11 კვირა. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამა მთლიანად ხორციელდება კოლეჯის C სასწავლო გარემოში. დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული შპს ,,სამშენებლო კომპანია მოდერნ ჰაუსი“. კომპანია უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულების სტაჟირებასა და შემდგომ წარჩინებული კურსდამთავრებულების დასაქმებას კომპანიის საჭიროებების შესაბამისად. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ვალდებულია კოლეჯთან ერთად უზრუნველყოს მსმენელთა შერჩევა პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით; კომპანიაში კურსდამთავრებულების სტაჟირების მიზნით გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის პირი; უზრუნველყოს მსმენელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში

ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, წარმოდგენილ პროგრამაზე დაწესებულებას შეუძლია 30 მსმენელის მიღება (ჯგუფში მაქსიმუმ 10 მსმენელი). სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, დაწესებულებას გაცემული 531 სერტიფიკატი.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს საინტერესო პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით“ /02435/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 7**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით /02435/ **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 იანვარი.

**1. სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „სუსტი დენების ტექნიკოსი“ /02423/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა შოთა კოჩაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის №1691616 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა შოთა კოჩაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 24 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ სპექტრში (მისამართი: ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10).

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, საქართველოში სუსტი დენების მიმართულების ტექნოლოგიების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების, უსაფრთხოების სიგნალიზაციისა და ვიდეოთვალთვალის სისტემების ყოვლისმომცველი პროგრამის შექმნისა და დაწყების აუცილებლობა განპირობებულია რამდენიმე კრიტიკული ფაქტორით. ქვეყანაში ასეთი კურსის არარსებობა, ამ დარგების კვალიფიციურ პროფესიონალებზე მზარდ მოთხოვნასთან ერთად, ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ხარვეზს საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ლანდშაფტში.
ასეთი სპეციალიზებული კურსის არარსებობა საქართველოში წარმოადგენს ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, აღჭურონ სტუდენტები შესაბამისი, მოთხოვნადი უნარებით. ამ პროგრამის დანერგვით, დაწესებულება არა მხოლოდ შეავსებს ამ ხარვეზს, არამედ პოზიციონირებს, როგორც პიონერი უახლესი პროგრამის შეთავაზებაში იმ სფეროებში, რომლებიც გადამწყვეტია თანამედროვე ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების, უსაფრთხოებისა და ეფექტურობისთვის. წარმოდგენილი პროგრამა ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს და გადამწყვეტ როლს ითამაშებს უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლებაში საქართველოს სხვადასხვა ინდუსტრიაში. ხანძარსაწინააღმდეგო დანადგარების, უსაფრთხოების სიგნალიზაციისა და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემების შესახებ ყოვლისმომცველი ტრენინგის მიწოდებით პროგრამა

ხელს შეუწყობს უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნას. სტანდარტების ეს გაუმჯობესება გადამწყვეტია სიცოცხლისა და აქტივების დასაცავად, რისკების შესამცირებლად და ინფრასტრუქტურის საერთო ხარისხის გასაუმჯობესებლად. მსგავსი კვალიფიკაციის სპეციალისტები მოთხოვნადია საერთაშორისო შრომის ბაზარზეც.
ტექნოლოგიების სწრაფმა წინსვლამ და დახვეწილ ელექტრონულ და უსაფრთხოების სისტემებზე მზარდმა დამოკიდებულებამ სხვადასხვა სექტორში შექმნა მნიშვნელოვანი მოთხოვნა კვალიფიციურ პროფესიონალებზე. ინდუსტრიებს, დაწყებული მშენებლობიდან და უძრავი ქონებიდან დაწყებული ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სტუმართმოყვარეობით დამთავრებული, ძალიან სჭირდებათ ექსპერტები, რომლებსაც შეუძლიათ შეიმუშაონ, დააინსტალირონ, შეინარჩუნონ და მოაგვარონ უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემები. ამ პროგრამის გაშვება პირდაპირ დააკმაყოფილებს ამ ბაზრის საჭიროებას, მიაწოდებს სამუშაო ძალას ტექნიკურად გამოცდილი პირებით.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით.

მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, წარმოდგენილ პროგრამაზე დაწესებულებას შეუძლია 30 მსმენელის მიღება (ჯგუფში მაქსიმუმ 15 მსმენელი). სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტის ქვესტანდარტებს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან ეს პროგრამაც წარმოდგენილია სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ მიერ.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა დაწესებულების დირექტორს კომენტარი გაეკეთებინა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, საბჭოს წევრებს და ცენტრს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ „სუსტი დენების ტექნიკოსი“ /02423/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 7**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ (ს/კ: 208183605) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სუსტი დენების ტექნიკოსი /02423/ **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 იანვარი.

საბჭოს სხდომას 12:22 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი ნათია გვირჯიშვილი.

**3. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ /02350/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

**4. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ /02395/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ

მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები გაერთიანებული პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ინგა ბაქრაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 დეკემბრის №1715600 და №1715611 ბრძანებების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ინგა ბაქრაძემ და ხარისხის განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა სოფიკო ბექირაძემ 12 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში. (მისამართი: თბილისი, სპირიდონ კედიას №7). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ,,პარაფარმაციის კონსულტანტი“ და ,,ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ორივე პროგრამასთან მიმართებაში ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
„პარაფარმაციის კონსულტანტის“ პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კედიას ქ. №7.
„ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 11 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კედიას ქ. №7.

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზიდან გამოკვეთილია, პოპულარული მიმართულებები, რომელთა შორისაცაა ფარმაციის მიმართულება. კვლევის შედეგად გამოიკვეთა პოპულარული სასწავლო მიმართულებები, რაც იძლევა ადვილად დასაქმების შესაძლებლობებს, რომელთაგან აღსანიშნავია: ფარმაციის მიმართულება. გამომდინარე იქიდან, რომ როგორც პროფესიული სტუდენტები, ასევე მსმენელები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ თბილისში დასაქმების პერსპექტივის სურვილით და ხშირია შემთხვევები, როდესაც მოთხოვნაა დასაქმდეს რეგიონში. იმავე, ზემოაღნიშნულ საქართველოს შრომის ბაზრის მიმდინარე და მოკლევადიან (2-3 წელი) პერიოდში, იკვეთება კადრებზე გაზრდილი მოთხოვნა და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის დამკვიდრებული პრაქტიკა. ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევიდან (გურია, კახეთი, ქვემო ქართლი) ირკვევა, რომ ასევე დეფიციტურია ფარმაციის მიმართულებით მომზადებული/გადამზადებული კადრები. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზიდან ვკითხულობთ, რომ „ჯანდაცვის სფერო მთლიანობაში გამოირჩევა მოთხოვნის მრავალფეროვნებით, რაც მოიცავს ვაკანსიებს: სპეციალისტი ექთნების (30%), მედიცინის სპეციალისტ პრაქტიკოსების (22%), ფარმაცევტების (18%), სტომატოლოგებისა (11%) და მედიცინის საერთო პროფილის პრაქტიკოსებზე (9%). იმავე კვლევის შედეგად გამოიკვეთა პოპულარული მიმართულებები, რაც იძლევა ადვილად დასაქმების შესაძლებლობებს, რომელთაგან აღსანიშნავია ფარმაცია. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს, რადგან ხშირია, ისეთი დაინტერესებული კადრები, რომლებსაც წინარე ცოდნა გააჩნიათ, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში არ გამოუყენებიათ და არ განუახლებიათ. შესაბამისად, სჭირდებათ ცოდნის განახლება და თანამედროვე მიდგომების გაცნობა, რისთვისაც მოკლევადიანი პროგრამების გავლა მათთვის უფრო მიზანშეწონილი და დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობაა.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამების სახელწოდება შეესაბამება შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ხოლო პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: უმაღლესი ან პროფესიული განათლება, მინიჭებული ერთ-ერთი კვალიფიკაცია - ფარმაცევტი; ფარმაცევტის თანაშემწე; ფარმაციის ბაკალავრი; ფარმაციის მაგისტრი; პროვიზორი; დიპლომირებული მედიკოსი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი, ზოგადი პროფილის ექიმი ან ექიმ სპეციალისტი. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამების სწავლის შედეგები ორიენტირებულია პრაქტიკულ მოქმედებებზე და კომპეტენციის განვითარებაზე. პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, თეორიული სწავლება ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი პრაქტიკის ობიექტზე - შპს ,,ავერსი ფარმაში“ და სს ,,გეფას“ აფთიაქებში, სადაც მსმენელები რეალურ სამუშაო გარემოში იქნებიან. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შპს ,,ავერსი ფარმა“-თან ერთად ხელშეკრულება გაფორმებულია ფარმაცევტულ კომპანია შპს ,,ჯიენჯი ფარმასთან“.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, პროგრამების განხორციელებაში ჩართული იქნება 5-5 განმახორციელებელი პირი. მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. წარმოდგენილ პროგრამებზე დაწესებულებას შეუძლია 24-24 მსმენელის მიღება ორ ჯგუფად (ჯგუფში მაქსიმუმ 12 მსმენელი). სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას. კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს საინტერესო პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა ნინო ელბაქიძემ გააკეთა კომენტარი, აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი საინტერესო პროგრამების განხორციელება, მითუმეტეს როდესაც დაწესებულებას ჰყავს მნიშვნელოვანი პარტნიორები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „პარაფარმაციის კონსულტანტი“ /02350/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს (ს/კ: 202056764) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - პარაფარმაციის კონსულტანტი /02350/ **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 იანვარი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)“ /02395/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელს (ს/კ: 202056764) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება) /02395/ **(დანართი 4).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 იანვარი.

**5. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „მიკროკლიმატისა და ფიზიკური ფაქტორების გაზომვა“ /02418/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 დეკემბრის №1716815 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მარიამ ჩოხელმა და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის პროფესიული მომზადების „მიკროკლიმატისა და ფიზიკური ფაქტორების გაზმოვა“ (ID 02418) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 9 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ

**ტექნიკური უზუსტობა**

რეკომენდებულია, პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ გასწორდეს სიტყვა “გაზმოვა”.

**ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით**

რეკომენდებულია, მეორე სწავლის შედეგი “საზომი ხელსაწყოების გამოყენება მონაცემთა კალიბრაციისთვის” ფორმულირდეს სხვაგვარად.

**ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია**

მსმენელის სასწავლო კვირეული დატვირთვა არის 15 საათი, ხოლო პროფესიული მომზადების პროგრამის “ზოგადი ინფორმაციის” ნაწილში მითითებულია 90 საათი. რეკომენდებულია ტექნიკური უზუსტობის გასწორება.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 78, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებულ პრაქტიკასა და პროგნოზირებულ ტენდენციებზე დაყრდნობით, ნათლად შეინიშნება მზარდი მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომლებიც უკავშირდება სამუშაო გარემოში მიკროკლიმატური და ფიზიკური ფაქტორების შეფასებასა და კონტროლს. შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ წლების განმავლობაში ახორციელებს შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიმართულების ტრენინგებს, რაც ქმნის მყარ საფუძველს ახალი, თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული პროგრამის - „მიკროკლიმატური და ფიზიკური ფაქტორების გაზომვების სპეციალისტის პროფესიული მომზადების პროგრამის“ - დანერგვისათვის. მიკროკლიმატური და ფიზიკური ფაქტორების მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა 2019 წლიდან, როდესაც შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონი და შემდგომში მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებები №69 და №341 ამოქმედდა. აღნიშნული რეგულაციები ავალდებულებს ყველა დამსაქმებელს განახორციელოს სამუშაო გარემოს რეგულარული მონიტორინგი და შესაბამისი გაზომვები მიკროკლიმატურ და ფიზიკურ პარამეტრებზე, როგორიცაა ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, განათება, ხმაური, ვიბრაცია და მტვერიანობა. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ მრავალ ორგანიზაციას - განსაკუთრებით სამრეწველო, ენერგეტიკის, სამშენებლო, სამთო, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და სერვისების სექტორებში - არ ჰყავს სპეციალიზებული კადრი, რომელიც შეძლებს ამ ფაქტორების სისტემურ შეფასებასა და შედეგების სწორ ინტერპრეტაციას. ეს იწვევს როგორც შრომის უსაფრთხოების დარღვევებს, ასევე კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც კომპანიებისთვის ბადებს სამართლებრივ და ფინანსურ რისკებს.
შრომის ბაზრის კვლევები ხაზს უსვამს იმასაც, რომ თანამედროვე საწარმოებსა და ორგანიზაციებში იზრდება მოთხოვნა ისეთ სპეციალისტებზე, რომლებიც შეძლებენ სამუშაო გარემოს შეფასებას, მავნე ფაქტორების იდენტიფიცირებასა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას. აღნიშნული მოთხოვნა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მთავრობის №69 და №341 დადგენილებებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, რომლებიც ავალდებულებს ყველა დამსაქმებელს, უზრუნველყოს სამუშაო გარემოს მიკროკლიმატური და ფიზიკური პარამეტრების რეგულარული გაზომვა, ანალიზი და კონტროლი. ეს სამართლებრივი ჩარჩო ქმნის რეალურ ბაზარს იმ სპეციალისტებისთვის, რომლებიც ფლობენ შესაბამის ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს გარემოს ფაქტორების გაზომვისა და შეფასების მიმართულებით.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის მიზანი მკაფიოა და შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო შერჩევა ხდება გასაუბრების საფუძველზე. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებითა და უნარებით, თუმცა გაიცა რეკომენდაცია მეორე სწავლის შედეგის ფორმულირების ცვლილების შესახებ. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და მორგებულია მსმენელთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითა და გასაუბრებით. დაწესებულებას თანამშრომლობის შეთანხმება აქვს გაფორმებული სამ ორგანიზაციასთან, კერძოდ - შპს “დომუს კონტრაკშენთან”; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტთან; შპს “უსაფრთხოების აკადემიის ტრენინგ ცენტრთან”. პრაქტიკული კომპონენტი ტარდება პარტნიორი ორგანიზაციების რეალურ სამუშაო გარემოში. მსმენელის შეფასების სისტემა მოიცავს როგორც მიმდინარე განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ადამიანური რესურსით - სწავლების პროცესში ჩართულია 5 პირი, რომელთა კვალიფიკაცია

დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირებით. მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო იძლევა პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას. სასწავლო რესურსები წარმოდგენილია ელექტრონული სახით და ფარავს ყველა სწავლის შედეგს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, რომელიც შეესაბამება საქართველოს მთავრობის №370 დადგენილებით განსაზღვრულ სახანძრო უსაფრთხოების წესებსა და პირობებს.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს, აღინიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.5, და 3.7 ქვესტანდარტს, აღნიშნული ქვესტანდარტები არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო, ვინაიდან დაწესებულებას ჯერ არ განუხორციელებია პროფესიული მომზადების პროგრამა, რომელზეც მას მოპოვებული აქვს განხორციელების უფლება.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „მიკროკლიმატისა და ფიზიკური ფაქტორების გაზომვა“ /02418/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს (ს/კ: 406290954) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მიკროკლიმატისა და ფიზიკური ფაქტორების გაზომვა /02418/ **(დანართი 5).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 იანვარი.

**6. შპს გორგიას „დეკორატიული მცენარეების მოვლა და გამრავლება“ /02411/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ქეთევან გელაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 დეკემბრის №1715501 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მარიამ ჩოხელმა და დარგის ექსპერტმა ქეთევან გელაშვილმა შეისწავლეს შპს გორგიას პროფესიული გადამზადების პროგრამის „დეკორატიული მცენარეების მოვლა და გამრავლება“ (ID 02411) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 15 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს გორგიაში, მისამართზე ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №273ა.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ

**ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში**

რეკომენდებულია, პროგრამის აღწერილობაში მოხდეს შესაბამისი ცვლილება და დაშვების წინაპირობის ნაწილში ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაზო განათლება, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის თანხვედრას და სიცხადეს.

**ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით**

რეკომენდებულია, შპს გორგიამ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმოს რომელიმე სანერგე მეურნეობასთან, ბოტანიკურ ბაღთან, ინდ. მეწარმესთან და სხვ. სწავლის შედეგების უკეთესი ხარისხით მიღწევისთვის.

**ქვესტანდარტი 3.7 - გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს**

რეკომენდებულია იურიდიულმა პირმა სერტიფიკატებთან ერთად გასცეს დანართები და დანართი სერტიფიკატთან ერთად ასახოს ელექტრონულ სისტემაში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №273ა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ იურიდიულ პირს ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. სადაც აღნიშნულია, რომ შპს „გორგია“ ბაზარზე ოპერირებს როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი მრავალპროფილური საცალო სავაჭრო ქსელი, რომელიც გარდა სამშენებლო მასალებისა, აქტიურად ზრუნავს ბაღის კატეგორიის, დეკორატიული მცენარეების ნიადაგებისა და ბაღის მოვლის პროდუქტების განვითარებაზე. ბოლო რამდენიმე წელია მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა დეკორატიული მცენარეების მოვლისა და გამრავლების მიმართულებით მომსახურებებსა და პროდუქციაზე, რასაც თან სდევს სპეციალიზებული კადრების დეფიციტი. გორგიას მიერ 2023–2024 წლებში განხორციელებული შიდა კვლევებისა და მომხმარებელთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბაღისა და დეკორატიული მცენარეების განყოფილებაში მოთხოვნა გაიზარდა 27%-ით. დასახელდა პრობლემა კვალიფიციური მებაღეებისა და მცენარეთა მოვლის სპეციალისტების ნაკლებობაზე. შპს გორგია, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია, რომლის საქმიანობაც მოიცავს ბაღის და დეკორატიული მცენარეების მიმართულებებს, ადგილობრივი ბაზრის დაკვირვებითა და პარტნიორ კომპანიებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე აფიქსირებს კვალიფიციური მებაღეების, ბაღის მოვლის სპეციალისტების და მცენარეთა გამრავლების ტექნოლოგების დეფიციტს. როგორც კომპანია მუდმივად განიცდის კვალიფიციური კონსულტანტების, მცენარეთა მოვლის ტექნიკოსებისა და ლანდშაფტური მომსახურების სპეციალისტების დეფიციტს. რაც თავის მხრივ ართულებს მომხმარებლისთვის მომსახურების სერვისის შეთავაზების საკითხს, ასევე პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობა, ცხადყოფს, რომ პროფესიული განათლების მქონე კადრების მოძიება ადგილობრივ დონეზე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო. ამგვარად, ჩვენი მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული უნარების სწავლება, წარმოადგენს მყისიერ რეაგირებას კომპანიაში არსებულ რეალურ მოთხოვნაზე.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის მიზანი მკაფიოა და შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ასაკი 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება, როგორც აღინიშნა, წინაპირობასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა 9 კვირა, პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია ჯამურად 30 ადამიანი, რომელიც განაწილდება 2 ჯგუფად, 1 ჯგუფში, 15 ადამიანი. სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მორგებულია მსმენელთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითა და გასაუბრებით. მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კომპანიას გაწერილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელიც შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ადამიანური რესურსით, მასში ჩართულია 4 კვალიფიციური პირი. სასწავლო A გარემო აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით, ხოლო C გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ყველა საჭირო რესურსია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია.
კომპანიას აქვს 40 კვ.მ. ნახევრად დახურული სივრცე საბაღე საქმიანობებისთვის, ასევე დაახლ. 2000 კვ.მ ღია (სრულად ცარიელი) სივრცე. კომპანია მზაობას გამოთქვამს სწავლის დაწყებამდე შეიძინოს სხვადასხვა სახეობისა და სხვასხვა ზომის მცენარე იმისათვის, რომ მსმენელებმა წარმატებით მიაღწიონ პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სასწავლო რესურსი

წარმოდგენილია ელექტრონულად, ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა შიდა მოხმარების პლატფორმა elerning.gorgia.ge სადაც მსმენელებისთვის მასალები არის ხელმისაწვდომი, სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში, რაც შეესაბამება საქართველოს მთავრობის №370 დადგენილებით განსაზღვრულ სახანძრო უსაფრთხოების წესებს.

მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს გორგია აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას გააზრებული აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებელს. ეფექტურად იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს. იურიდიულმა პირმა ელ. სისტემაში წარმოადგინა ასევე კითხვარები: მსმენელთა, კურსდამთავრეებულთა, განმახორციელებელ პირთა და სასწავლო პროცესზე დაკვირვების კითხვარი, ვიზიტის დროს გადამოწმდა ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც, იურიდიულ პირს google forms-ის მეშვეობით ჰქონდა გამოკითხვა ჩატარებული და გამოკითხვის შედეგების შესაბამისად გამოვლენილი შედეგები გათვალისწინებული იქნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს.
როგორც ზემოთ აღინიშნა, შპს გორგია ახორციელებს მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს (თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი). ვიზიტის დროს გადამოწმდა ელექტრონული სისტემა e-vet.emis.ge გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ იურიდიულ პირს გაცემული აქვს შესაბამისი სერტიფიკატები, თუმცა სერტიფიკატები არ არის გაცემული დანართთან ერთად და აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონულ სისტემაში არ არის ასახული, ამ საკითხთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს, ტექნიკური აღჭურვილობისა და სამუშაო სივრცის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
განხილულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა ნანა დვალმა, მან განაცხადა, რომ მისასალმებელია ამ დარგის პროგრამის განხორციელება, დასძინა, რომ ეთანხმება დარგის ექსპერტის რეკომენდაციას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით სანერგე მეურნეობასთან, ბოტანიკურ ბაღთან, ინდ. მეწარმერთან და სხვ. სწავლის შედეგების უკეთესი ხარისხით მიღწევისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორგიას „დეკორატიული მცენარეების მოვლა და გამრავლება“ /02411/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული

პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს გორგიას (ს/კ: 245621288) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დეკორატიული მცენარეების მოვლა და გამრავლება /02411/ **(დანართი 6)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 21 იანვარი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 13:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
სანაია სალომე



**დანართი 1**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02435 | კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით | პროფესიული მომზადება | მესამე | 11 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10 |

**დანართი 2**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02423 | სუსტი დენების ტექნიკოსი | პროფესიული მომზადება | მესამე | 12 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10 |

**დანართი 3**

| **პროგრამის კოდი** | **პროგრამის დასახელება** | **პროგრამის სახე** | **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე** | **პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში** | **სწავლების ენა** | **მსმენელთა ზღვრული რაოდენობა** | **პროგრამის განხორციელების ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02350 | პარაფარმაციის კონსულტანტი | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 10 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7 |

**დანართი 4**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02395 | ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება) | პროფესიული გადამზადება | მეხუთე | 11 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. №7 |

**დანართი 5**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02418 | მიკროკლიმატისა და ფიზიკური ფაქტორების გაზომვა | პროფესიული მომზადება | მეოთხე | 6 | ქართული | 78 | ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა |

**დანართი 6**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02411 | დეკორატიული მცენარეების მოვლა და გამრავლება | პროფესიული მომზადება | მესამე | 9 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №27ა |